



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/9138
12/06/2023

9138-2-08-2-202306121703



სსიპ-გარემოს ეროვნული სააგენტოს

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2023 წლის 8 ივნისის №2-08/8939 წერილით, წარმოდგენილ საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობა/რეკონსტრუქციის სკოპინგის ანგარიშზე დამატებით წარმოგიდგენთ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზა, გვირაბი, ხიდი) მდებარეობის/განლაგების შესახებ ინფორმაციას Shp ფაილს სახით და პროექტის Shp ფაილს. გთხოვთ, სკოპინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში იხელმძღვანელოთ წარმოდგენილი Shp ფაილით.

ამასთან, დამატებით წარმოგიდგენთ საპროექტო გზის გრძივ პროფილს pdf ფაილის სახით, რომელშიც ასახულია ყველა ნაგებობის, გზის ნაწილის, გვირაბების და ხიდების საპროექტო ნიშნულები. ამასთან, 460.45 მ-იანი გვირაბის სიღრმე მიწის ნიშნულიდან პორტალებთან არის 9.1 და 7.7 მეტრი და ყველაზე ღრმა წერტილი აღწევს 126 მეტრს, ხოლო დაახლოებით 846 მ-იანი გვირაბის სიღრმე მიწის ნიშნულიდან პორტალებთან არის 8.1 და 8.5 მეტრი და ყველაზე ღრმა წერტილი აღწევს 224 მეტრს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვირაბის ნაწილი, გაივლის ზურმუხტის ქსელის მიღებული უბნის „ყაზბეგი GE0000009“-ის ქვეშ და ამ მონაკვეთზე გვირაბის მდებარეობა სიღრმეში, მიწის ზედაპირიდან იცვლება 83-224 მ-ის ფარგლებში. „ყაზბეგი GE0000009“-ზე ზემოქმედების საკითხი მოცემულია პროექტის სკოპინგის ანგარიშში.

დანართი: სტეფანწმინდა-გველეთის საპროექტო მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზა, გვირაბი, ხიდი) მდებარეობის/განლაგების შესახებ ინფორმაციას Shp ფაილსა და პროექტის Shp ფაილს, ასევე საპროექტო გზის გრძივი პროფილი pdf ფაილის სახით - ელ ვერსია.

პატივისცემით,

სალომე წურჭუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

